საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

30/05/2022
N 862

862-09-02-11-3-202205301113

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ვლადიმერ მგალობლიშვილს

დასკვნა

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა
და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის
სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების
პროექტის თაობაზე

(N09-01-08/26, 11.05.2022 წ. ავტორი/ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს
წევრები - დავით გაბაიძე, ტიტე არაშიძე, დავით ბაციკაძე,
მარინე გვიანიძე, ლაშა სირაბიძე, ფრიდონ ფუტკარაძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 87-ე მუხლის 1-2 პუნქტებისა და 115-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2022 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში, განხილულ იქნა „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი.

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი:

1. შინაარსობრივი სიახლოვის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის ზოგიერთი ქვეპუნქტის გაერთიანება (მაგალითად: „ე“ და „ი“ ქვეპუნქტის, „ჟ“ და „რ“ ქვეპუნქტის, „ჭ.თ“ და „ჭ.ი“ ქვეპუნქტის);

2. საჯარო ინფირმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსული განცხადებების სტსტისტიკის ანალიზიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალს (მუხლი 4) დაემატოს:

ა) ინფორმაცია ლობისტების, მათი საქმიანობის შესახებ;

ბ) უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოების ანგარიშები;

გ) ინფორმაცია რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯების შესახებ;

დ) ინფორმაცია უმაღლეს საბჭოში განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ განხილვის ეტაპების მიხედვით.

3. ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ'' დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 მუხლის ,,ლ.ა", „მ" და ,,პ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება, მიგვაჩნია, რომ პერსონალური მონაცემების არაპირდაპირი გამჟღავნების რისკებს შეიცავს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 მუხლის ,,ლ.ა'' და „მ" ქვეპუნქტების თანახმად ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ და უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანება დამხმარე ფუნქციების მქონე შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციების ნუსხის განსაზღვრის შესახებ. დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში მითითებულია შტატით გათვალისწინებული თანამდებობა, საშტატო რაოდენობა მინიჭებული რანგი, იერარქია და თანამდებობრივი სარგო, როგორც ერთ ერთეულზე ასევე ჯამურად კონკრეტული თანამდებობის პირის სახელისა და გვარის მითითების გარეშე. ამავე მუხლის ,,პ" პუნქტის თანახმად ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება ინფორმაცია აპარატში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, მათ შორის საჯარო მოსამსახურეების სახეების მიხედვით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში: სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა სტრუქტურული ერთეულის მითითებით. მიუხედავად იმისა, რომ საშტატო ნუსხაში პირდაპირ არ არის მითითებული საჯარო მოსამსახურეთა სახელი და გვარები, ,,ლ.ა", „მ" და ,,პ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ურთიერთ შედარებით სავსებით შესაძლებელი ხდება პერსონალური მონაცემის სხვა პირის მიერ მოპოვება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფინანსებთან.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) არის – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.

,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის N219 დადგენილებით განისაზღვრა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტი, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა, რომლის თანახმადაც საშტატო ნუსხა არ

განეკუთვნება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას. გარდა აღნიშნულისა, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან, რომელთა მიერ დადასტურებული იქნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 მუხლის ,,ლ.ა“, „მ“ და ,,პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოცემული სახით საჯაროდ გამოქვეყნება, პერსონალური მონაცემების არაპირდაპირი გამჟღავნების რისკებს შეიცავს.

ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემის გამჟღავნებასთან დაკავშირებით შემდგომი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინფორმაცია ფინანსების (დამტკიცებული სარგოების) ნაწილში თანამდებობის პირებზე გამოქვეყნდეს ჩაშლილად, ხოლო სხვა თანამშრომლებზე ჯამურად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ხსენებული სახის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი გაცემა ხდება სწორედ აღნიშნული სახით - თანამდებობის პირებზე ჩაშლილად, ხოლო სხვა თანამშრომლებზე ჯამურად.

4. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის N2 დანართის (საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი) მე-3 პუნქტიდან სიტყვა „ერთ-ერთ“ ამოღებულ უნდა იქნას.

5. მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 და მე-5 მუხლების გაერთიანება და მათი წარმოდგენა ცხრილის სახით, სადაც პირველ გრაფაში იქნება საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალი, ხოლო გასწვრივ მე-2 და მე-3 გრაფებში ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული და გამოქვეყნების, განახლების ვადა. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-4 და მე-5 მუხლების გაერთიანება და მათი წარმოდგენა ცხრილის სახით ნორმის არსსა და შინაარსს უფრო მკაფიოს, ადვილად აღქმადსა და იოლად გასაგებს გახდის, თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ დადგენილების პროექტის მოცემული სახით წარმოდგენა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დანარჩენ ნაწილში შეესაბამება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მის მიმართ სხვა მოსაზრება ან რაიმე სახის შენიშვნა არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი